შინაგან საქმეთა სამინისტრო

# 10-წლიანი სამოქმედო გეგმა

# კრიმინალური პოლიციის რეფორმა

- მიმდინარეობს და 2025 წლისთვის დასრულდება საგამოძიებო, საუბნო და ოპერატიული მიმართულებების სრული გამიჯვნა ტერიტორიულ ორგანოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში

- გამიჯნული ფუნქციების შესაბამისად, საპოლიციო ძალები სრულად გადამზადდება და მასშტაბურად განახლდება სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა

- 2024 წლისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სრულად ამოქმედდება ცვლილებები, რომლითაც მკაფიოდ გაიმიჯნება გამომძიებლისა და პროკურორის უფლებამოსილებები



# საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა



- შეიქმნა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მოდელი - მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი
- დამტკიცდა „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგია" და შესაბამისი სამოქმედო გეგმა
- ამ ეტაპზე, თბილისის 3 რაიონში 279 მართლწესრიგის ოფიცერი მუშაობს
- 2023 წელს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მოიცავს თბილისსა და მსხვილ ქალაქებს, ხოლო 2030 წლისთვის - მთელ ქვეყანას

# ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება

**შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი**

დეპარტამენტის ფუნქციაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე, ტრეფიკინგზე, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულზე დროული რეაგირება და გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა



თბილისში შეიქმნა არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო, რომელიც არასრულწლოვნების მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ახდენს რეაგირებას

> მსგავსი დანაყოფები შეიქმნება სხვა ტერიტორიულ ერთეულებში

# ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება

## 10 -წლიან საანგარიშო პერიოდში:



2023 წლისათვის ბავშვზე მორგებული სივრცეებით უზრუნველყოფილი იქნება ბათუმისა და ქუთაისის ტერიტორიული ორგანოები

2026 წლისათვის მსგავსი ინფრასტრუქტურა მოეწყობა საქართველოს ყველა დიდ ქალაქში

2024 წლისათვის სრულად განხორციელდება სქესობრივ დანაშაულებზე გამომძიებელთა სპეციალიზაცია

2024 წლისთვის გაძლიერდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური და დაემატება 50 საშტატო ერთეული, რითაც სრულად დაიფარება პოლიციის ყველა სამმართველო

# თანამედროვე საპოლიციო პროექტები

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

**ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა**

2025 წლისთვის ანალიტიკური ქსელი დაინერგება მთელი ქვეყნის მასშტაბით

**ელექტრონული დისპეტჩერიზაცია**

საპოლიციო რესურსების სწორად და ეფექტიანად გადანაწილების, ოპერატიული რეაგირების მონიტორინგისა და შემადგენლობის მუშაობის შეფასების მიზნით, მუშავდება ელექტრონული დისპეტჩერიზაციის თანამედროვე სისტემა, რომელიც სტრატეგიული და ტაქტიკური ანალიზის ერთიანი სისტემის დანერგვასა და ანალიტიკური მონაცემების ფიქსაციასაც გულისხმობს

**დანაშაულის შეტყობინების აპლიკაცია**

მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ მონაცემი როგორც ღიად, ასევე ანონიმურად მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის დანაყოფს

**კრიმინოგენურ-საინფორმაციო რუკა**

დანაშაულის ფაქტების, სამეთვალყურეო კამერების, საპატრულო ეკიპაჟების გადაადგილების, სტრატეგიული ობიექტების ელექტრონულ რუკაზე ასახვა

# თანამედროვე საპოლიციო პროექტები

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

**სქესობრივი დანაშაულის პრევენციული მონიტორინგის პლატფორმა**

საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმადაც მოხდება მსჯავრდებული და უფლებაჩამორთმეული პირის პირადი საქმის წარმოება, ასევე სკოლების და ორდერების მონიტორინგი

**ჭკვიანი კამერები არაორდინარული ქცევების იდენტიფიცირებისათვის**

დაფიქსირებული არაორდინარული ქცევის, აგრეთვე, ხმის დეტექციის მიხედვით გასროლის იდენტიფიცირებისას შეტყობინებებს გადასცემს პოლიციის შესაბამის დანაყოფს

**სახის/მოძრაობის ამოცნობის სისტემა /ვიდეოამომცნობი**

ფოტოსურათის, მათ შორის ჯგუფურის, ფოტოების ფრაგმენტების აღდგენის მიხედვით, ცალკეული პირის ამოცნობის შესაძლებლობა

**სტატისტიკურ-ანალიტიკური პორტალის განვითარება**

სტატისტიკური მოდულის დახვეწა



## ერთიანი მომსახურების ცენტრი

- საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრში მოქალაქეებს ერთი ფანჯრის პრინციპით მიეწოდებათ საპოლიციო სერვისები
- სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ერთიანი მომსახურების ცენტრი ეტაპობრივად გაიხსნება საქართველოს ყველა დიდ ქალაქში

# საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

სასაზღვრო-გამტარი პუნქტების სრული შემადგენლობა აღიჭურვა ახალი ტიპის ვიდეო კამერებით, სპეციალური საპოლიციო საშუალებებითა და ინსპექტირების თანამედროვე დანადგარებით

საზღვრის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საზღვარზე რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის დანერგვას

# საგზაო უსაფრთხოება



ერთიან ქსელში ჩართულია **5293** ვიდეოკამერა, რომელთაგანაც **1775** არის ნომრის ამომცნობი, ხოლო **3518** - ზოგადი ხედვის

ამოქმედებულია **295** სიჩქარის კონტროლის სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება **1269** კმ სიგრძის საგზაო მონაკვეთი

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში არსებული ბიუჯეტის ფარგლებში:

ყოველწლიურად დამონტაჟდება **300** ვიდეოკამერა

ყოველწლიურად ამოქმედდება **50** სექციური სიჩქარის კონტროლის სისტემა

2020-2030

# საგზაო უსაფრთხოება

## 10 -წლიან საანგარიშო პერიოდში

ქვეყნის ყველა სასაზღვრო-გამტარი პუნქტი, ქალაქი და საავტომობილო მაგისტრალი სრულად გადაიფარება 13 000-მდე როგორც ზოგადი ხედვის, ასევე, ე.წ. ჭკვიანი და სახის ამომცნობი კამერით

სრულად განახლდება ვიდეო კამერებისა და რადარებისთვის საჭირო სასერვერო ინფრასტრუქტურა

# საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112




112-ის და ერთობლივი ოპერაციების ცენტრის გაერთიანებით შეიქმნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112



112-ში დაინერგა სმს და ვიდეო ზარის სერვისი - ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, გადაუდებელ შემთხვევებში, შეუძლიათ მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ვიდეო ზარის საშუალებით დაუკავშირდნენ 112-ს



შეიქმნა 112-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. აპლიკაციის მნიშვნელოვანი ფუნქციებია: ჩუმი განგაშის გაგზავნა (SOS) და ოპერატორთან მიმოწერა



ამოქმედდა მოძალადის ელექტრონული ზედამხედველობის პროგრამა, რომელსაც ტექნიკურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112

# საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112

## 10 -წლიან საანგარიშო პერიოდში:

### PROQA

პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის (PROQA) დანერგვის მეშვეობით, გაუმჯობესდება 112-ის მომსახურების დონე და შემცირდება რეაგირების დრო

დაინერგება ადრეული გაფრთხილების SMS სისტემა, რომელიც სახიფათო ტერიტორიაზე მყოფ აბონენტებს შეატყობინებს მომხდარი ან პოტენციური საფრთხის შესახებ

დაინერგება 112-ში შემოსული ზარების ხმის ბანკის პროგრამული დამუშავება

2020-2030

# მომსახურების სააგენტო

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- 2022 წლიდან შესაძლებელი გახდება სატრანსპორტო საშუალების დისტანციურად რეგისტრაცია/გადაფორმება და სახელმწიფო სანომრე ნიშნების დისტანციურად შეცვლა
- 2022 წლიდან მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა გახდება ორეტაპიანი, რაც გულისხმობს მძღოლობის კანდიდატის გამოცდას რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში
- განხორციელდება მოპედების რეგისტრაცია და სავალდებულო გახდება შესაბამისი მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება

# საზღვრის დაცვა

**აშენდა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 25 სასაზღვრო სექტორი**

ადრე



ახლა



სექტორი ლეკისყურე

ადრე



ახლა



სექტორი ჯუთა

# საზღვრის დაცვა

- სასაზღვრო ოპერაციების ელექტრონული დაკვირვების სისტემა მოეწყო 9 სექტორის დასაცავ მონაკვეთზე
- აშენდა და აღიჭურვა გემთსარემონტო სახელოსნო ფოთში
- აშენდა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი (JMOC)
- აშენდა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბათუმის ბაზირების სადგური - მცირე ზომის ნავმისადგომი
- სრულად განახლდა სანაპირო დაცვის რადიო-საკომუნიკაციო სისტემები

# საზღვრის დაცვა

- სანაპირო დაცვის დეპარტამენტს გადაეცა „აილენდის“ კლასის 2 სადარაჯო ამერიკული ხომალდი

- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ორი ჯგუფი და ორი მცურავი საშუალება ნატოს ოპერაციული კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამაში (OCC E&F) ჩაერთო







# საზღვრის დაცვა

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:



- სრულად განახლდება ყველა სასაზღვრო სექტორი
- სახელმწიფო საზღვარი სრულად აღიჭურვება საზღვრის დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით
- გაძლიერდება სანაპირო დაცვის ფლოტი

2020-2030

# საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

- მნიშვნელოვნად განახლდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- თანამედროვე სტანდარტების სახანძრო-სამაშველო ობიექტები აშენდა 12 ქალაქში
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საწყლო-საზღვაო დანაყოფს დაემატა სხვადასხვა მოდიფიკაციის მცურავი საშუალებები
- საგანგებო სიტუაციების სამსახური აღიჭურვა 30 ერთეული „ივეკო მაგირუსის“ სპეცმანქანით









# საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- გაფართოვდება ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალი
- შემუშავდება რისკის მართვისა და საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმები
- გაგრძელდება ინტერაქციული რუკის სრულყოფა
- აშენდება/განახლდება 150 სახანძრო-სამაშველო პუნქტი

2020-2030

# დროებითი მოთავსების იზოლატორები



- 2012 წლიდან დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები
- 2016 წლიდან დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაიხსნა სამედიცინო პუნქტები
- ზაჰესში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე სტანდარტების შენობა

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორში სრულად განახლდება ინფრასტრუქტურა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

# მიგრაციის დეპარტამენტი



- 2014 წელს შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი
- აშენდა საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- გაგრძელდება მიგრანტებისათვის განკუთვნილი დროებითი მოთავსების სივრცეების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა

# საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა



- შეიქმნა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი
- გაფართოვდა ატაშეების ქსელი
  - 2012 - 4 ატაშე ფარავდა 4 ქვეყანას
  - 2021 - 16 ატაშე ფარავს 24 ქვეყანას, ევროპოლსა და ნატოს

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- გაფართოვდება საზღვარგარეთ მივლენილი ატაშეებისა და მეკავშირე ოფიცრების ქსელი
- მუდმივ რეჟიმში გაგრძელდება თანამშრომელთა სპეციალიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება

# საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი

- აშენდა და აღიჭურვა საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ახალი ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც განთავსებულია 20 სხვადასხვა მიმართულების სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია
- განხორციელდა საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო ISO სტანდარტის მიხედვით
- საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი გახდა ევროპის საექსპერტო დაწესებულებათა კავშირის სრული წევრი







# საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:



- განხორციელდება დნმ, ბალისტიკური, დაქტილოსკოპიური და ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული პროფილის ექსპერტიზის შესაძლებლობების განვითარება
- გაფართოვდება ბალისტიკური და ქიმიური ექსპერტიზის სტანდარტის აკრედიტაციის სფერო
- შემუშავდება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული და საშიში ქიმიური ნივთიერებების ლაბორატორიის შექმნის სამოქმედო გეგმა

# შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია



დაინერგა პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა



შეიქმნა სიმულაციური სწავლების სივრცე



მოეწყო საცეცხლე-ტაქტიკური სწავლების ახალი სივრცე

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების მიხედვით მუდმივ რეჟიმში მოხდება საპოლიციო პროფესიული სწავლების უზრუნველყოფა
- საზღვარგარეთის სამართალდამცავ უწყებებთან კოორდინაციით, გაგრძელდება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება

# სოციალური გარანტიები და პროექტები

- **2013 წლის 1 მარტიდან** სამინისტროს თანამშრომლებისთვის ყოველთვიური დანამატები დაწესდა
- სამინისტროს მრავალშვილიანი თანამშრომლებისთვის ყოველთვიური დანამატი დაწესდა
- **2014 წლიდან** შვილის შეძენის, ოჯახის შექმნის და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება
- **2015 წლიდან** სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ოჯახებს გადაეცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება **100 000 ლარის** ოდენობით
- სამინისტრო უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევას
- ეტაპობრივად იზრდებოდა თანამშრომელთა ანაზღაურება

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- დაგეგმილია შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა

# მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

## აშენდა 60 ახალი შენობა



გურჯაანის პოლიცია



წალენჯიხის პოლიცია




ბაკურიანის პოლიცია




რუსთავის პოლიცია

2020-2030

# მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში

## გარემონტდება:

- პოლიციის 185 შენობა
- 14 სასაზღვრო სექტორი
- საგანგებო სიტუაციების 60 პუნქტი
- დროებითი მოთავსების 24 იზოლატორი
- 18 საექსპერტო შენობა
- საპატრულო პოლიციის 15 შენობა
- განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 13 ობიექტი

2020-2030

# მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში აშენდება:

- პოლიციის 30 შენობა
- სასაზღვრო პოლიციის 20 შენობა
- საგანგებო სიტუაციების 90 პუნქტი
- დროებითი მოთავსების 2 იზოლატორი
- საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის შენობა
- განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 2 ობიექტი
- შსს-ს არქივის შენობა
- მიგრაციის დეპარტამენტის შენობა

2020-2030

# სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და კაპიტალური რემონტი

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

- ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში შესასყიდი ავტოტრანსპორტის გარდა, სრულად შეივსება და მუდმივად განახლდება პოლიციის ავტოპარკი

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაემატება როგორც საავტომობილო, ისე სხვადასხვა სახის სამაშველო ტექნიკა, მათ შორის: 400-ზე მეტი სხვადასხვა სპეციფიკის სახანძრო ავტომანქანა, 40-ზე მეტი კატერი, 2 სახანძრო გემი

- სასაზღვრო პოლიციის სარგებლობაში არსებულ ყველა შვეულმფრენს ჩაუტარდება კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია. ქვედანაყოფები აღიჭურვება ახალი სატრანსპორტო საშუალებებით

- იგეგმება სასაზღვრო პოლიციის 2 ახალი შვეულმფრენის შეძენა

# შეიარაღება /სპეციალური საშუალებები /კავშირგაბმულობა

სრულად განახლდება და დაკომპლექტდება მოძველებული შეიარაღება და სპეციალური საშუალებები

სრულად განახლდება დანაყოფების რადიოკავშირის საშუალებები, რაც გაზრდის საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობას

# საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

2013 წელს დამტკიცდა პოლიციის ეთიკის კოდექსი, რომელიც პერიოდულად განახლებადია

2014 წლიდან ამოქმედდა „პოლიციის შესახებ" ახალი კანონი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს ითვალისწინებს

## 10-წლიან საანგარიშო პერიოდში:

განხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო კანონმდებლობის რეფორმა

შემუშავდება პოლიციელთა სტანდარტული სამოქმედო პროცედურები, რომელიც შესაბამისობაში მოვა საპოლიციო საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან

# გმადლობთ ყურადღებისთვის!

შინაგან
საქმეთა
სამინისტრო